საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
განათლების, კულტურისა და სპორტის
სამინისტრო

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
MINISTRY
OF EDUCATION, CULTURE AND SPORT

MES 7 22 0000691822

22/06/2022

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის აპარატის უფროსს
ბატონ ჯაბა სურმანიძეს

ბატონო ჯაბა,

2022 წლის 02 ივნისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატიდან N581617 კორესპონდენციით გადმოიგზავნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო–საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის 2022 წლის 30 მაისის N09-02-12-ქ/283 წერილი, რომლითაც წარმოდგენილი იქნა მოქალაქე მაგდა ქათამაძის ელექტრონული პეტიციის განაცხადი "აჭარის მუნიციპალიტეტების ცენტრებში თავისუფალი სივრცეების მოწყობის თაობაზე".

გაცნობებთ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო მიესალმება აჭარის მუნიციპალიტეტების ცენტრებში თავისუფალი სივრცეების მოწყობის იდეას, რამდენადაც აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტებში შემოქმედებითი პროცესების გააქტიურებას, გაზრდის როგორც სახელოვნებო ორგანიზაციების, ასევე, დამოუკიდებელი ხელოვანების მოტივაციას, თავად განახორციელონ ან/და მონაწილეობა მიიღონ სახელოვნებო-საგანმანათლებლო პროექტებში, გამოიწვევს კულტურის სხვადასხვა სერვისებზე ხელმისაწვდომობის ზრდას ადგილობრივ მოსახლეობაში, რაც დადებითად აისახება აჭარის რეგიონში კულტურის პოპულარიზაციისა და ხელშეწყობის პროცესზე.

აქვე აღვნიშნავთ, რომ აჭარის მუნიციპალიტეტების ცენტრებში თავისუფალი სივრცეების მოწყობის შემთხვევაში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო გამოთქვამს მზადყოფნას ითანამშრომლოს და აქტიური კომუნიკაცია აწარმოოს აღნიშნულ სივრცეებთან კულტურის სხვადასხვა პროექტების განხორციელების ხელშესაწყობად.

6015 ქ. ბათუმი, ლ. გუდიაშვილის ქ. №4
ტელ./ფაქსი: 0422 245370
www. moecs.ge

№4 L. Gudiashvili street, Batumi 6015
Tel./Fax: +995 (422) 245370
www. moecs.ge

პატივისცემით,

მაია ხაჯიშვილი
მინისტრი